ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6478436

ნომერი: AR1965086

თარიღი : 08.05.2023

გაცემის თარიღი : 25.05.2023

გაცნობის თარიღი : 25.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭეიშვილი პ/ნ 61001025637
- ბათუმი პ.მელიქიშვილის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 08 მაისის №AR1965086 განცხადებით მომართა გიორგი ჭეიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის

№6413551 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებით №01.11.13.001.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 04 მაისის №6446873 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 04 მაისიდან 2025 წლის 04 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს განაშენიანების ფართობად 636.44 კვ.მ-ის ნაცვლად 637.5 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 2338.7 კვ.მ-ის ნაცვლად 2039.2 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 427.4 კვ.მ-ის ნაცვლად 435.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 266.75 კვ.მ-ის ნაცვლად 368.4 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 312.6 კვ.მ-ის ნაცვლად 345.1 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 404.0 კვ.მ-ის ნაცვლად 414.9 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 3749.45 კვ.მ-ის ნაცვლად 3603.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 637.5 კვ.მ., საოფისე ფართობად - 2039.2 კვ.მ., კომერციული ფართობად - 435.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 368.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 345.1 კვ.მ., სასაწყობე ფართობად - 414.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 3603.2 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები, ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში (9-16 გვერდები) წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის №6413551 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.